



სახელმწიფო

რეგისტრირება

მთავრობის მუხაბე, უფლებდღიური გარეა

(რეგისტრირებული და არა რეგისტრირებული განყოფილებები)

სახელმწიფო რეგისტრირება

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო. უწყ. განცხადებ. ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-32.

სახელმწიფო მუხაბა

ხუთშაბათი 25 ნოემბრის მთავრობის მუხაბე

„ლ ა ლ ა ტ ი“

მცხეთა იპოლიტოვიჩისთვის, თარგმანი კ. ფოცხვერაშვილის მიერ. სიუჟეტი აღებულია ცნობილ დრამის აღ. სუმბაშაშვილის „ლალატიდან“.

ახალი დრამატიკული და კოსტუმები. გადამს. დასვამს მიხეილ შერაძენი.

ოპერას დასვამს ა. რ. წუწუნაია.

ღირიყერი ს. ა. სტოლერმანი.

მონაწილე-ბენ: ზეინაბი—ალექსო, ერეკლე—სარაჯიშვილი, რუქია—კალანდაძე, ოთარ ბევ—ინაშვილი, ისახარ—ერმოლინსკაია, სულეიმანი—ისეკვი, კურბატოვი. ორლიუკი, დემიანენკო, ე. ოოვი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

972

1-1

სახელმწიფო თეატრის დირექცია, მსახიობთა კავშირი და სახელმწიფო დრამის მსახიობნი გულმწუხარენი აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ 23 ნოემბერს, ნაშუალამევს, გარდაიცვალა მალაღნიჭიერი და დამსახურებული მსახიობი

ვლადიმერ სარდიონის-ქა

ალექსი-მესხიუვილი

მგლოვიარე ქართული დრამის რეჟისორთა კოლეგია აუწყებს საქართველოს მოქალაქეთ თავისი უხუცესი, მალაღნიჭიერი და დამსახურებული წევრის

ვლადიმერ ალექსი-მესხიუვილის

გარდაცვალებას.

მრეწველობის წესდების

მე-76 მუხ. მიხედვით კან. კრებ. ტომ. მე-11-ე ნაწ. მე-2-ე გამოც. 1913 წ.

ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი

აიით ასხადავს,

რომ მის მიერ კაცებულია

შემდეგი დ მცდელი მოწმობები წარმოდგენილ გამოგონებებზე და გაუმჯობესებებზე უპირატესობის-პრვილეგიის მიცემის შესახებ.

- 1920 წ. ოქტომბრის 21-ს № 2169—მგრენავ ვ. ს. ქებურის.
 - ქადრაკული რიგით ტურბინის ფრთების მოწყობაზე, ნაცვლად პრორედერისა.
 - ქადრაკული რიგით ჰაერობლანის ფრთების მოწყობის პრინციპზე.
 - ქარის მიმართულების გამოყენების პრინციპზე და
 - ბენზინის გასაწმენდი მოწყობილობაზე „კონდენსიფონ“-ზე.
- 1920 წ. ოქტომბრის 21-ს № 2070—ტ. გ. კვაჩაძეს—გაჯიჯობესებულ სართავა ჯარზე „კვაჩაძისა“.
- 1920 წ. ოქტომბრის 27-ს № 2119—ლ. ვ. კორგანოვს—ლითონის გასაწმენდი და გასაფარებელ საშუალებაზე.
- 1920 წ. ნოემბრის 5-ს № 2166—ს. ვ. ვარდანიანს—მოწყობილობაზე ელექტრონის სარზე სახელწოდებით „სტეპ-ვარდ“.
- 1920 წ. ნოემბრის 5-ს № 2168—ს. ვ. ვარდანიანს—ლამფის და სხვა ფითილების დაწვასთან შენახვებზე და მუდმივი დაუწყველი ფითილზე.
- 1920 წ. ნოემბრის 5-ს № 2167—ს. ვ. ვარდანიანს—კაჟიან ასანთის მუდმივი უწყვე ფითილზე.
- 1920 წ. ნოემბრის 6-ს № 2172—ი. ი. იზანტი-ეზოვს—მცლნის მაშრობზე კი ზილგურისაგან.
- 1920 წ. ნოემბრის 17-ს № 2235—დ. ი. ომიადეს—პაპიროვის კოლოფში ჩასაწყობ-მანქანაზე.

სამი თვის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი იღებს სათანადო დასაბუთებულ განცხადებებს იმის შესახებ თუ უკვე ცნობილია, ან შესულია, სმარტაში, ესა თუ ის ზეწოდნიშნულად გამოგონება, და ან თუ აქვს მას რუსეთის მიერ მინიჭებული უპირატესობა.

1-1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ხუთშაბათს 25 ნოემბრის მე-3 ქართულ ენაზე ოპერა

„ლ ა ლ ა ტ ი“

პარასკევს, 26 ნოემბრის ბალეტის საღამო „ქიზიბი“, შაბათს 27 ნოემბრის, ოპერა „მედიისთვის“ ქეთო და კოტე“, კვირას 28 ნოემბრის ოპერა „აბესალომ და ეფრეი“. დასაწყისი ხრულ 8 საათზე საღამოს. 972 1-1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტული—რუსთაველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

ხუთშაბათს, ნოემბრის 25-ს ომში დაჭრილ დასახინრებულთა კავშირის საღამო.

1) „დარისპანის გასაჭირი“, 2) „ირინას გადნეობა“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი ფალავა.

შაბათს, ნოემბრის 28-ს პირველად „ზღვასთან“, შაბათს, დეკემბრის 4-ს პირველად ორიგინალური ტრადედია „ბერდო.ზმინია“. ბილეთები კასაში. 971 1-1

რუსთაველიანი განყოფილება.

განკარგებლბანი

იუსტიციის მინისტრისა.

22 ნოემბერი, 1920 წ., № 414.

დათხვანდია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: კ. ტფილისის მეორე უზნის გამოცდილების თანამდებობის აღმასრულებელი ანდრია ივანეს ძე კოპლაგსკი ა. წ. ნოემბრის 18-დან.

(№ 415.

დამტკიცებულ იქნა: ტფილისის № 1 საპროკურორის უფროსად ემიფანე ბესარიონის ძე მეგრელიშვილი ა. წ. ნოემბრის 20-დან.

№ 416.

რეგისტრირების მთავრობის ა. წ. ნოემბრის 16-ს დადგენილების ძალით განთავისუფლებულია თანამდებობიდან ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი სვიმონ ივანეს ძე ჯორბენაძე მისი საპროკურორითა ინსპექტორად დახინფენისა გამო ა. წ. ნოემბრის 7-დან. იუსტიციის მინისტრი რ. არხვანიძე.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

26 ოქტომბერი, 1920 წ., № 56.

გამწესებულნი არიან: მოქალაქე ქალი თამარ გოგიტიძე სამმართველოს კანცელარიის მოხელეთ, კანდიდატები ნოე შენგელია და ილია ორავენიძე მეორე კატეგორიის ფოსტალიონებთ: შენგელია ფოტოტექნიკაში, ორავენიძე ბოროჯომში, კანდიდატი ბაგრატ ლევადა ნ ხარისხის მოხელეთ არტანუჯში, კანდიდატი ქალი მარიამ შალიკიანი ნ ხარ. მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად

ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში. ყველანი 1 ნოემბრიდან.

დანიშნულნი არიან: ტფილისის ტელეგრაფის კანტორის 4 ხარისხის მოხელეთ ქალი კლავდია ბოგომოლოვი 3 ხარისხის მოხელეთ, მანგლისის აბრამ იანაკოვი 6 ხარისხისა—მეხუთე ხარისხით მანგლისში, ტფილისის ტელეფონის ქსელის დაბალი ჯამაგირის ზედამხედველები: სარქის მიქიტინიანიცი და იაკობ მაზმანიანიცი მაღალი ჯამაგირის ზედამხედველებათ. თელავის ფოსტალიონი პეტრე ბალაჯიშვილი და ყვარელის ფოსტალიონი იოსებ ქემოკლიძე შეეჭეს ხარისხის მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად. ყველანი 1 ნოემბრიდან.

გადაყვანილნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: თეთრი-წყაროს 5 ხარისხის ისააკ ქელიძე ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ფოთის 5 ხარისხის თედორე წულესიკირი—გალში, ბათუმის 6 ხარისხის პანტელეიმონ ბარნაბაშვილი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, არტანუჯის 6 ხარისხის გრიგოლ ანანიკიანიცი ართვინში, ზესტაფონის 3 ხარისხის გრიგოლ დევიდარიანი ხაშურში, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის 2 ხარისხის ვლადიმერ კეკელიძე—ჩოხატაურში, 5 ხარისხის იულია კანდელაკი ტფილისის ქალაქის პირველ განყოფილებაში, ტფილისის პირველ განყოფილების 5 ხარისხის მოხელეთ ქალი ნინო გივიშვილი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ფოთის უმცროსი მექანიკოსი მაღალი ჯამაგირისა ნესტორ ლეხსაძე ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ზორაპანის ფოსტალიონი გიორგი გიორგაძე—ქუთაისის კანტორაში, ქუთაისის ფოსტალიონი კაპიტონ ყურაშვილი ზორაპანში. წულესიკირი 21 ოქტომბრიდან, კეკელიძე 26 ოქტომბრიდან, დანარჩენნი 1 ნოემბრიდან. ყველანი თანახმად თხოვნისა.

